

პრემიერმა პარლამენტში წერიური ანგარიში წარადგინა



დღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა პარლამენტში წერიური ანგარიში წარადგინა. გიორგი გახარია მრავალ საკითხს შეეხო, განიხილა არჩევნების, რეფორმების, სოციალური და ჯანდაცვის საკითხები.

“დღეს საქართველოს განვითარების ეტაპიდან გამომდინარე მზად უნდა ვიყოთ, რომ შემდგომი 10, შეიძლება 15 წელიც ქვეყანა მუდმივი რეფორმირების პროცესში უნდა იყოს სხვადასხვა მიმართულებით. გასაძლიერებელია ინსტიტუტები, მუდმივი რეფორმებია გასატარებელი როგორც ეკონომიკის, ისე ჯანდაცვის, სოციალური დახმარების, ბევრი სხვა მიმართულებით. რეფორმირების ძირითადი მიზანი უნდა იყოს, რომ მაქსიმალურად სწრაფად დავუახლოვოთ ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრება, სხვადასხვა განზომილებაში, იმ ევროპულ სტანდარტებს, რომელიც არის ჩვენი ძირითადი ფასეულობები და რომლისკენაც მივდივართ, რომ გვქონდეს ყვერანაირი შესაძლებლობა, უფრო დაჟინებით, უფრო დასაბუთებულად, ეფექტურად და სწრაფად მოვითხოვოთ სრულფასოვანი წევრობა იმ ევროპულ ოჯახში, რომელიც ჩვენი მოქალაქეების საბოლოო მიზანია“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

პრემიერის აზრით, ბიზნესგარემო ყოველთვის იყო და უნდა იყოს ქვეყნის ძირითადი მიზანი.

„ ქვეყანას გააჩნია სტრუქტურული ეკონომიკური ნაკლოვანებები და პირველ რიგში, ეს არის მიმდინარე ანგარიშის ბაღანსი და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი დივერსიფიცირება. ხშირად გვესმის, რომ ტურიზმი არ უნდა იყოს ძირითადი, ინდუსტრიალიზაცია უნდა იყოს

ძირითადი, ტრანსპორტი არ უნდა იყოს ძირითადი. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, არის გასათვადისწინებელი, მაგრამ ამავდროულად, უნდა გვესმოდეს, რომ გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელიც გამომდინარეობს გლობალური პანდემიიდან, რეალობა საერთოდ შეცვალა, – განაცხადა გიორგი გახარიაძე.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საქართველოს მთავრობა მუშაობს საერთაშორისო პარტნიორებთან, სამეცნიერო ცენტრებთან, მსხვილ საერთაშორისო საკონსულტაციო ჯგუფებთან, რათა პოსტკრიზისური, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ეკონომიკური აღდგენის გეგმა იყოს რეალისტური და ეფექტური.

„ჩვენი ქვეყნისთვის კრიზისი, პანდემია უნდა გადავაქციოთ ეკონომიკურ შესაძლებლობად. დღეს გლობალური ეკონომიკა იცვლება, ამიტომ გვაქვს შესაძლებლობა, რომ ქართული ეკონომიკა გამოწვევის ეკონომიკიდან გავხადოთ შესაძლებლობების ეკონომიკად და აქ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, გამოვიყენოთ ყველა ინსტრუმენტი. ამიტომ, საქართველოს მთავრობა მუშაობს საერთაშორისო პარტნიორებთან, სამეცნიერო ცენტრებთან, მსხვილ საერთაშორისო საკონსულტაციო ჯგუფებთან, იმისთვის, რომ პოსტკრიზისური, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ეკონომიკური აღდგენის გეგმა იყოს რეალისტური და ეფექტური. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ პოსტკრიზისური განვითარების ეტაპზე საქართველოს ჰქონდეს დამატებითი ეკონომიკური უპირატესობები გლობალურ კონკურენციაში ჩასართავად,“ - განაცხადა გიორგი გახარიაძე.

პრემიერის განცხადებით, წინ არჩევნებია და ყველამ ერთად პარლამენტს მეტი შინაარსი უნდა შესძინონ.

„არატრადიციულად, ბოლო შეკითხვიდან დავიწყებ - ბოლო შეკითხვა იყო, რომ ხომ არ გახსოვთ ოპოზიციის ერთი შინაარსობრივი შეკითხვა მაინცო, სამწუხაროდ, არა და ახლა გვარების მიხედვით გავყვები ყველა კითხვას, როგორც ოპოზიციის, ასევე ყველა დეპუტატის და ამის შეფასებას მივანდობ ჩვენს მოქალაქეებს, ჩვენს მაყურებლებს ერთადერთი თხოვნით, რომ ქვეყანაში სურ მარე საპარლამენტო არჩევნები იქნება, დღევანდელმა მოსმენამაც დაადასტურა, რომ ბევრი ადამიანი უკვე, ფაქტობრივად, შესურია საარჩევნო პროცესში

და ჩვენ ყველამ ერთად, ჩვენს მოქალაქეებთან ერთად პარლამენტს ცოტა უფრო მეტი შინაარსი უნდა შევძინოთ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მოქალაქეები სწორ და მუსტ დასკვნებს გააკეთებენ“, - განაცხადა გახარიაძე.